4

ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში

ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საიამ გრანტის (მოცემულია საგრანტო შემოსავლები იმ პროექტებიდან, რომელთა იმპლემენტაციაც ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში დაიწყო), შემოწირულებისა და საწევროს სახით, ჯამში, 8,056,415.71 ლარი მიიღო. ეს თანხა, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში საიაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 68 თანამშრომელი, მათ შორის, 19 - რეგიონებში. მათი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 2,108,843.75 ლარი. ერთჯერად მომსახურებაზე ჰონორარი გაიცა 243 ფიზიკურ პირზე - სულ 434,317,63 ლარი.

კერძო პირების მომსახურების ანაზღაურების, ხელფასებისა და ჰონორარების საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 493,275.18 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეიძინა 40,400.73 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. ამავე პერიოდში შეძენილია 48,395.92 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი.

საიას მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 190,191.89 ლარი.

ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა შეადგინა 162,169.49 ლარი, ოფისების ქირამ - 63,656.44 ლარი, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯმა - 30,725.74 ლარი.

საიას მიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულმა ქვეგრანტებმა შეადგინა 95,008.66 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 3,632,706.19 ლარი, რომელიც, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:


EWMI (USAID RULE OF LAW PROGRAM) 487,997.94
BFDW 480,780.61
EUROPEAN UNION 435,048.31
SRT (SIGRID RAUSING TRUST) 384,012.48
USAID 313,064.92
FCDO (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) 200,240.98
GIZ 157,982.89
EED (EUROPEAN ENDOWMENT FOR DEMOCRACY) 154,911.08
NE (ნიდერლანდების საელჩო საქართველოში) 147,886.28
TETRA TECH ARD (USAID LOCAL GOVERNANCE PROGRAM) 136,569.91
EWMI (USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM) 135,289.04
IREX (USAID MEDIA PROGRAM) 105,454.34
EUROPE FOUNDATION (EPF) 65,188.90
US DEPARTMENT OF STATE 62,124.23
EMBASSY OF THE CZECH REPUBLIC 56,333.00
NORE (ნორვეგიის საელჩო საქართველოში) 53,731.50
IMS (INTERNATIONAL MEDIA SUPPORT) 49,971.30
UNAG (UN ASSOCIATION OF GEORGIA) 46,322.45
FREEDOM HOUSE (FH) 46,302.82
OSGF 45,972.30
EHRAC 35,655.38
SIDA (SWEDISH INTERN. DEVELOPMENT COOPERATION AGENCY) 15,327.61
IPHR (საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის) 13,829.64
CSRDG (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი) 12,214.46
UNDP 9,524.98
სხვადასხვა 968.84

საანგარიშო პერიოდში საიამ სხვადასხვა დონორ ორგანიზაციაში წარსადგენად 31 საპროექტო განაცხადი მოამზადა. აქედან:



2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, საია 18 მიმდინარე პროექტს ახორციელებს.